შპს „კარგო პარსელი“

LTD „Cargo Parsel“

№ 01-01/01-20

,, 27,, 01 2020

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის
მეურნეობის მინისტრის ბატონ ლევან დავითაშვილს

სკრინიგის განაცხადი

გაცნობებთ, რომ თქვენი 2020 წლის 8 იანვრის N 189/01 წერილით გადმოგზავნილი შენიშვნების გათვალისწინებით შევიტანეთ სათანადო ცვლილებები და დამატებები ჩვენს მიერ 2019 წლის 16 დეკემბერს წარმოდგენილი (სამინისტროში შემავალის N18382) წერილით წარმოდგენილ სკრინიგის ანგარიშში.

სკრინიგის ანგარიში შეეხება შპს ,,კარგო პარსელის“ (ს/კ 405341 063) მიერ დაგეგმილ საქმიანობას - შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალისგან“ შეძენილ ყოფილი საწარმოო უბნის - ნავთისა და ბენზინის გადატვირთვის სადგურის (ნავთის უბნის) ტერიტორიაზე 33 500 მ² ფართობის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე ღია სასაწყობო მეურნეობის (საბაჟო საწყობი) მოწყობას, რომელიც დროებით გამოყენებული იქნება ბიგ-ბეგებში დაფასოებული კარბამიდის დასასაწყობებლად. სასაწყობო მეურნეობის ძირითადი საქმიანობა იქნება ფოლადის ნაკეთობების (მილები, არმატურა და ა.შ) და ხის მასალის (ევრო პალეტები (ზომები 1,2 მ / 0,8 მ), დროებითი დასაწყობება.

სკრინინგის ანგარიშში შეტანილია შემდეგი დამატებები, განმარტებები და ცვლილებები:

- საპროექტო ტერიტორიის 209 წლის 30 იანვრის N12 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნით განსაზღვრუ სანებართვო სტატუსთან დაკავშირებით, სკრინინგის ანგარიშის დანართის სახით, წარმოდგენილია შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალის“ შესაბამისი წერილობითი განმარტება.
- საპროექტო ტერიტორიაზე არსებული ინფრასტრუქტურით სარგებლობის პასუხისმგებლობებთან დაკავშირებით, სკრინინგის ანგარიშის დანართის სახით, წარმოდგენილია შპს ,,კარგო პარსელსა“ და შპს ,,ბათუმის ნავთობტერმინალს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების ასლი.
- სასაწყობო მეურნეობაში შემოტანილი კარბამიდის დასაწყობების ვადა არ გადააჭარბებს 1 თვეს.
- შესწორდა 4.1.3. ცხრილში გაპარული შეცდომა.
- წარმოდგენილია შპს ,,კარგო პარსელის“ დირექტორის მიერ დადასტურებული ცნობა, რომ კარბამიიდისთვის გამოყოფილი საცავის ჯამური მოცულობა არ გადააჭარბებს 1000 მ3-ს.

მის.: წყნეთის გზატკეცილი 2, ბინა N10

მობ.: 5 99 113 115

- დაზუსტებულია კარბამიდის მიღების სრული ტექნოლოგიური სქემა, რომლის თანახმად, კარბამიდი შემოტანილი იქნება აზერბაიჯანიდან.

განმეორებით წარმოგიდგენთ სკრინინგის განაცხადს, რომელიც მომზადებულია გარემოსდაცვითი კოდექსის მე-7 მუხლის პ.4.-ის გათვალისწინებით.

გთხოვთ განიხილოთ და მიიღოთ შესაბამისი გადაწყვეტილება.

დანართი:

1. შპს „კარგო პარსელის“ მიერ, ქ. ბათუმში, შპს „ბათუმის ნავთობტერმინალის“ ყოფილი საწარმოო უბნის - ნავთისა და ბენზინის გადატვირთვის სადგურის (ნავთის უბნის) ტერიტორიაზე ღია სასაწყობო მეურნეობის მოწყობის და ექსპლუატაციის პროექტის სკრინინგის ანგარიში - ნაბეჭდი ვერსია (1 ეკზემპლარი);
2. ამონაწერი საჯარო რეესტრიდან შპს „კარგო პარსელის“ რეგისტრაციის თაობაზე.
3. საპროექტო ღია სასაწყობო მეურნეობის განთავსების ადგილის გეოგრაფიული კოორდინატები Shp სისტემაში.
4. დოკუმენტაციის ელექტრონული ვერსია (SD დისკზე).

პატივისცემით,

იოსებ პატარაია

დირექტორი

შპს „კარგო პარსელი“ 405341063 CARGO PARCEL LLC